საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1194 2016 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების
ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის
პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების №1-№2 დანართებით განსაზღვრულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეთ ამავე დანართებით განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში;

ბ) ამ განკარგულების №1 და №2 დანართებში მითითებული პირების მხრიდან სახელმწიფოს მიმართ ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე უარის თქმა როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, ისე ნებისმიერი სხვა

ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან/და არბიტრაჟში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

დანართი N1		
N	მოძრავი ქონების დასახელება	შემძენი
1	„HYUNDAI SANTAFE“ საიდ. კოდით KMHSH81GDAU654731	მარიამ რატიანი (პ/ნ 01017001093)
2	„მერსედეს ბენც ML-350“ საიდ. კოდით 4JGBB86E86A144656	ჯემალ ნაცვლიშვილი (01015001436)

დანართი N2

N	უძრავი ქონების დასახელება	შემძენი
1	ქ. რუსთავში, XVI მკ/რ-ში , სტამბულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 106 კვ.მ. (ს/კ N02.02.03.169)., 88.27 კვ.მ. (ს/კ N02.02.03.180) და 101 კვ.მ. (ს/კ N02.02.03.214) მიწის ნაკვეთი	შპს „ლაზარე" (ს/კ N416288966)
2	ქ. რუსთავში, XVI მკ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 42 კვ.მ. (ს/კ N02.02.03.880) და 23 კვ.მ. (ს/კ N02.02.03.881) მიწის ნაკვეთი	სალომე საყვარელიძე (პ/ნ 35001084183)
3	ქ. რუსთავში, XVI მკ/რ-ში , სტამბულის ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 96 კვ.მ. (ს/კ N02.02.03.304) და ქ. რუსთავში, XVI მკ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია,45 კვ.მ. (ს/კ N02.02.03.883) მიწის ნაკვეთი	გიორგი ქუთათელაძე პ/ნ (35001012020)